

სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო პროგრამა

მუხლი 1. მიზანი

პროგრამის მიზანია სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდა.

მუხლი 2. ამოცანა

პროგრამის ამოცანაა სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობისათვის სადაზღვევო პრინციპებით მომსახურების მიწოდების ორგანიზება.

მუხლი 3. პროგრამის მოსარგებლეები

პროგრამის მოსარგებლეები არიან:

ა) „სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში 2009 წელს ჯანმრთელობის დაზღვევის მიზნით მოსახლეობისათვის გადასაცემი სადაზღვევო ვაუჩერის პირობების განსაზღვრის შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 19 თებერვლის №32 დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის „სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში 2009 წელს ჯანმრთელობის დაზღვევის მიზნით მოსახლეობისათვის გადასაცემი სადაზღვევო ვაუჩერის პირობები” (შემდგომში - ”სადაზღვევო ვაუჩერის პირობები”) მე-2 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით განსაზღვრული ბენეფიციარები.

ბ) პროგრამის მოსარგებლეები ასევე არიან სააგენტოს მიერ, 2008 წლის სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რეგისტრირებული “უფასო მშობიარობის ბარათის” მფლობელები.

მუხლი 4. პროგრამით, მათ შორის სადაზღვევო ვაუჩერით განსაზღვრული მომსახურების მოცულობა

1. სადაზღვევო ვაუჩერით დაფინანსებული სამედიცინო მომსახურება განსაზღვრულია ”სადაზღვევო ვაუჩერის პირობების” მე-3 მუხლით.

2. პროგრამა ასევე ითვალისწინებს ამ პროგრამის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული მოსარგებლეებისათვის მშობიარობასთან დაკავშირებულ სამედიცინო მომსახურებას.

მუხლი 5. განხორციელების გეგმა

პროგრამის განხორციელების პრინციპები განსაზღვრულია ”სადაზღვევო ვაუჩერის პირობების” მე-2, მე-4, მე-5 და მე-7 მუხლებით.

მუხლი 6. დაფინანსების მეთოდოლოგია

1. ვაუჩერის განაღდებას პრინციპი, სადაზღვევო შესატანის (პრემიის) ოდენობა და გადახდის წესი განსაზღვრულია ”სადაზღვევო ვაუჩერის პირობების” მე-6 მუხლით.

2. პროგრამის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული მოსარგებლეებისათვის მშობიარობასთან დაკავშირებული ხარჯები ანაზღაურდება 200 ლარის ოდენობით (არ მოიცავს არასამედიცინო ხარჯებს (კვება, ბავშვის საფენები).

მუხლი 7. სადაზღვევო ორგანიზაციების ვალდებულებები

სადაზღვევო ორგანიზაციების ვალდებულებები განსაზღვრულია "სადაზღვევო ვაუჩერის პირობების" მე-8 და მე-9 მუხლებით.

მუხლი 8. მონიტორინგისა და მართვის ხარჯები

მონიტორინგისა და მართვის ხარჯები ითვალისწინებს შესაბამისი შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე პროგრამის შესრულებაზე მეთვალყურეობას, შედეგების კვლევასა და ანალიზს; ასევე საზოგადოების, მოსარგებლეებისა და სამედიცინო პერსონალის ინფორმირებულობის მიზნით, საინფორმაციო და სარეკლამო მომსახურების უზრუნველყოფას.

მუხლი 9. პროგრამის ბიუჯეტი და მოქმედების ვადა

1. პროგრამის ბიუჯეტი განსაზღვრავს 2009 წლის 31 დეკემბრამდე ასანაზღაურებელი თანხების მოცულობას.

2. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვროს 129 511,7 ათასი ლარით, მათ შორის მონიტორინგისა და მართვის ხარჯები 520,0 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 10. სახელმწიფო შესყიდვები

სააგენტო პროგრამით განსაზღვრული მომსახურების შესყიდვას ახორციელებს "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, ასევე "ჯანმრთელობის დაცვის შესახებ" კანონის მე-19 მუხლის შესაბამისად.